572
1954/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 9 საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ჟურნალი მცირეწლოვანთათვის
სექტემბერი
1954

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეც წამიყვანეთ სკოლაში

ნ. ჟილაბონია

ზურიკო ჩემზე დიდია,
გულიკო ჩემზე მაღალი,
სკოლაშიც ერთად მიდიან,
წიგნები მიაქვთ ახალი.

დედიკო, თავი დამბანე,
მეც გამომაწყე ფორმაში,
რისთვის მასწავლე ანბანი,
თუ არ წამიყვან სკოლაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

მერმან ლებანიძე

ათი-თორმეტი წლის შავგვრემანმა გოგონამ ბოსტნიდან ინდაურები გადარეკა, ყორეზე მკვირცხლად შეხტა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და გასძახა:

— გოგია, ჰაი, გოგია!..

ბოსტნის გალავნიდან მოჩანდა ისევ ბოსტნები და საკარმიდამო ვენახები, ვენახებს იქით ახალგაჭრილი ყანები, იმის იქით კი, რასაც თვალი გასწვდებოდა, მწვანედ ღაღანებდა საძოვრები და შორეული მთებისაკენ თანდათან ლურჯდებოდა.

— გოგია, ჰაი, გოგია!..

არავინ პასუხობდა. აღმართ-აღმართ ღრუბელივით შეფენილიყო ფარა. ბალახს მიიძოვდა ცხვარი. აქა-იქ კორტოხებზე მეცხვარეები დაყუნტულიყვნენ, მაგრამ ყველა ისე პატარა ჩანდა, — ძნელი იყო გამოცნობა, თუ რომელი იყო გოგია.

6640

გოგონამ მზეს ახედა. სადილობა ჯერ შორს იყო, მაგრამ არც ყანები იყო ახლოს. თუ მისი ბიძაშვილი გოგია მუქარას შეასრულებდა და ჩვეულებისამებრ პირველ საათზე არ გამოუვლიდა თავისი ცხენით, სადილი ხელით გაუხდებოდა წასაღები მაიას.

ეგ — სადილი, საზამთრო კი...

საზამთროს წაღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო უცხენოდ. ამის გაფიქრებაზე გოგონა საჩქაროდ ჩამოხტა ყორედან. ინდაურები ფეტვით შეიტყუა ფარდულში, ჯამ-ჭურჭელი იმ ვეება კალათაში ჩაწყო, რომელსაც ცხენს აჰკიდებდნენ ხოლმე და, რადგან ყველაფერი მზად ჰქონდა, ისევ ყორეზე შეხტა:

— გოგია, ჰაი, გოგია!..

* * *

გოგია გულაღმა იწვა ბალახში და შეჰყურებდა თეთრი ღრუბლის ნაგლეჯს, რომელიც ხან ცხვრის მოყვანილობისა იყო, ხან ცხენს ემსგავსებოდა და ნელ-ნელა მიცურავდა მთებისაკენ.

გოგიას მოვალეობას შეადგენდა ასე მხარ-თეძოზე წოლილიყო დღის თორმეტ საათამდე. მხოლოდ დროდადრო მოენაცვლებინა ადგილი იმის მიხედვით, თუ საით გასწევდა ცხვარი, თორმეტ საათზე კი შეეკაზმა ცხენი და ბებიასთან ჩასულიყო, ყანაში სადილის წასაღებად.

ამ მოვალეობას გოგია გადაპარბებით ასრულებდა, ესე იგი, თავისი სადილის გარდა მაიას სადილიც მიჰქონდა. ყოველდღე, მთელი არდადეგების მანძილზე, ზუსტად თორმეტ საათზე, გოგონა სოფლიდან ანიშნებდა, — დროაო, და ისიც დაქირავებულივით მიჰგვრიდა ცხენს ჭიშკართან. არც ზარალობდა ბიჭი: მაია აჩუმებდა ვეებერთელა ქოფაკს, რომელიც ჭიშკრის გასწვრივ მავთულზე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობმულ ჯაჭვს დააჟღრიალებდა, შევიდოდა ბოსტანში და ორ საზამთროს გამოიტანდა: ერთს — დიდს, ყანაში წასაღებად, მეორეს — მთლად პატარას, სანახევროდ შესაჭმელად.

მაგრამ, აგერ, მთელი ორი კვირაა, მაიას აღარ გამოაქვს საზამთროები — არც დიდები და არც პატარები. ის ნაკვეთი თვითონ მისი დამუშავებულია და იმდენად გაღიდგულდა, რომ გუშინ დასათვალიერებლადაც კი არ შეუშვა შიგ გოგია.

აიკიდოს, თუ აგრეა, თავისი კალათი და იაროს ამ სიცხეში იმ სიშორეზე. არც მაგისი საზამთროა საჭირო და არც მაგისი ჯამ-ჭურჭელი!

მზე მომაღლებულიყო. სოფლიდან გაბმული ძახილი მოისმა.

„აჰა, მეძახის! — გაიფიქრა გოგიამ, — გაწრუწუნებ თუ ბიჭი ვარ!“

ჩალისფერ ცხენს წაეპარა და თოფრა უჩვენა. ბებერმა ცხენმა გამოცდილებით იცოდა, რომ თოფრაში არაფერი იყო, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ სოფელში ჩასვლა და ყანაში სადილის წაღება არ ასცდებოდა, ამიტომ თავპატიჟი არ გაუდვია, — უმალ ჩაჰყო შიგ დრუნჩი.

* * *

სადილი მზად დაახვედრა ბებიამ; გოგიამ თვითონაც ისადილა, კალათები კეხს გადაჰკიდა, ჯიბეები ჭერმით გამოიტენა და გზას გაუდგა. წინ მიდიოდა ცხენი, გოგია უკან მიჰყვებოდა. შარას მაიას ჭიშკართან უნდა გაევლო, ბიჭი აუჩქარებლად შეექცეოდა ჭერამს და ფიქრობდა, თუ როგორ „ეწრუწუნებინა“ მაია. ჯერ იფიქრა, სულაც გადაეხვია დიდი გზიდან და არხის გასწვრივ ევლო, შემდეგ გადაწყვიტა, რომ პირიქით, სჯობდა ზედაც არ შეეხედა ძუნწისათვის და ასე ჩაევლო მისი ჭიშკრის წინ.

მაგრამ მაია თავის ბარგიანად გზისპირას ჩასაფრებულიყო, ხოლო ცხენს, რომელსაც ძალიან უყვარდა საზამთრო (რა თქმა უნდა — ქერქი!), არ გამოჰპარვია გაჩერების ადგილი, ჩვეულებისამებრ ნაბიჯს უკლო და ჭიშკართან ვეება კოპიტის ჩრდილში ფეხი მიასვა.

— ჰაიტ! — საჩქაროდ შეუტია გოგიამ და სახრე გადაუჭირა. ცხენმა ფეხი არ მოიცვალა. კიდევ გადაუჭირა სახრე. ცხენმა ყური შეაპანტურა მხოლოდ და ცერად გახედა ჭიშკარს: მისამართი ხომ არ შემეშალაო. არა, ბებერ ცხენს არ შეშლია მისამართი: მის წინ იყო მაია — ნაცნობ წითელ კაბაში, მის წინ იდგა ნაცნობი წნული კალათი ჯამ-ჭურჭლით გატენილი, მაგრამ საზამთრო აღარ იყო ნაცნობი. ჭრელი და პატარა კი არ იყო, როგორსაც წინათ აჭიდებდნენ ხოლმე, არამედ შავი და ვეებერთელა — ასე, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისივე ჩამობერილი მუცლის ოდენა გოლიათი.

— აბა, დროზე! — თქვა გოგონამ და კალათას დასწვდა, თან თავის დაქნევით ანიშნა: გაინძერი, კალათის აკიდება მიშველეო.

ეს ყველაფერი მაიამ ისე მოიმოქმედა, თითქოს თვითონ ყოფილიყოს გოგიაზე ნაწყენი. გაუკვირდა გოგიას, მაგრამ უფრო მეტად საკვირველი იყო ეს ვეებერთელა მოლურჯო საზამთრო, რომლის მაგვარი ბიჭს არაფერი ენახა.

— რამ გაგაშტერა, ბიჭო? გაიგონე, რა გითხარი?

გოგია დუმდა. მას ჩაეშალა ყველაფერი, რაც გუშინდელს აქეთ მოიფიქრა, და ახალი ვერაფერი გადაეწყვიტა.

— გავიგონე, — თქვა მან ბოლოს, — იმან გამაშტერა, რომ ეგ საქმე არ გამოვა.

— რა არ გამოვა?! — წარბი შეჰყარა გოგონამ.

— მაგას ჩვენ ცხენს ვერ ავკიდებთ... კიდეც რომ ავკიდოთ, ვერ ზიდავს... მოუხერხებელია...

— მაშ, რა ვქნათ?

ორივე ჩაფიქრდა; გუშინდელმა დამდურებამ თითქმის ჩაიარა და მთავარი ახლა საზამთრო იყო.

— ურემი, — თქვა გოგიამ, — დროზე ურემი გამოვიტანოთ...

ისინი აჩქარებით შევიდნენ ეზოში და ფარდულიდან, სადაც ათასგვარი რკინეული ეყარა, ძველი, მაღალბორბლიანი ორთვალა გამოათრიეს.

* * *

მთელს გზაზე ბავშვები დუმდნენ. გოგია იჯდა წინ — კოფოზე, გოგონა კი საზამთროსა და კალათებს უკან მიყუჟულიყო. გოგია ფიქრობდა მაიას საზამთროზე, რომელიც მის უკან, ორთვალაში ოდნავ ირწეოდა, რადგან მთელი ძარი გაეესო და საგორავი ადგილი აღარ ჰქონდა. „შეიძლება თუ არა ამხელა საზამთრო არ აღმოჩნდეს სისხლივით წითელი?“ — ფიქრობდა ბიჭი.

მაიაც ფიქრობდა, მაგრამ იგი ფიქრობდა მხოლოდ ერთზე — რამდენს აიწონიდა და რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი ამდენი ხნის ნაშრომი, ბრიგადისადმი მიძღვნილი საჩუქარი.

ერთი საათის შემდეგ მტვრიანი შარაგზა დასრულდა და ორთვალა ყანაში მიგორდა. ცხელოდა. ყანისპირზე ჩრდილში შეფარებული ბრიგადა სადილობდა. გოგიამ ორთვალა ხესთან მიაგორა და გადმოხტა. ჩამოცურდა ურმიდან მაიაც. ორივე კალათებს დასწვდა.

ზოგს უკვე მოეთავებინა სადილობა, ბავშვებმა იგრძნეს, რომ დააგვიანეს და საყვედური არ ასცდებოდათ. საჩქაროდ მიიტანეს სუფრაზე კალათები და ურმი-

საკენ გაბრუნებას აპირებდნენ, რომ ვილაცამ გაკვირვებით შესძახა:

— ხალხო, აქეთ მოდით! ხალხო...

ორთვალასთან გოგიას დები იდგნენ.

— ეს სადღა იშოვე, ბიჭო?

— მგისია. — თავი გადიქნია ბიჭმა მაიასკენ.

გაწითლებულმა მაიამ თვალი შეაკეცა ჯერ გოგიას დებს, შემდეგ სუფრიდან აშლილ და ორთვალასთან მოგროვილ ქალებს; ბოლოს მიაჩერდა დედას, რომელიც ეს ორი კვირაა სამკალში უთენია გასული შინ გვიან, დაბინდებისას ბრუნდებოდა და მაიას ბაღჩა აღარც კი ახსოვდა.

ახმაურდნენ ქალები, სათითაოდ გადაჰკოცნეს მაია, შეაქეს, ბუმბერაზი საზამთრო კი მოლზე დააგორეს და ვეებერთელა დანა გოგიას გაუწოდეს.

მაშინ კი წინ წამოდგა ხანშიშესული აგრონომი, რომელიც აქამდე ჩაფიქრებით დასცქეროდა საზამთროს.

— არ გაბედო! — თქვა მან. — არ გაბედო მაგის გაჭრა!

ყველა გაოცებით მიაჩერდა აგრონომს. ის მიუახლოვდა მაიას, მხარზე ხელი დაადო, ქალებს თვალი მოავლო და საზეიმოდ თქვა:

— მთელ გაზაფხულს დადიოდა მაია ჩემთან. ვსაუბრობდით საზამთროს ჯიშებზე, ნიადაგზე, სასუქებზე... მეგონა სკოლაში სჭირდებოდა ეს ყველაფერი. მაშინ არაფერი უთქვამს თავის განზრახვაზე. ყოჩაღ, გოგონა! ეს საზამთრო მოსკოვში გავგზავნოთ, ხალხო, მაია სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია!..

* * *

ნასადილევს ბებერმა,ჩალისფერმა ცხენმა საზამთრო ისევ მაიას ჭიშკარს მიაყენა. ნახევარ საათში სოფლად პიონერებმა უკვე იცოდნენ გოგონას ამბავი. თანარაზმელებმა უსაყვედურეს მაიას; რად გვიმალავდი, თუ ასეთ საქმეს აკეთებდი, ჩვენც ჩაგვირევდი და გიშველიდითო; მაგრამ გოცებას და სიხარულს ვერ მალავდნენ: შრიალებდა ეზოში შალაშინი, იხერხებოდა ფიცრები. აგრონომი ხელმძღვანელობდა პატარებს.

საღამო ხანს პრიალა ფიცრის გალიაში მოათავსეს საზამთრო — გოლიათი. სწორედ ისე, როგორც ზოოპარკში სპილოები არიან ხოლმე მოთავსებული რკინის ჩარჩოებში. ფიცარზე ეწერა: „ნორჩი ნატურალისტის — მაია ციცინაძისაგან". იმ ღამეს იგზავნებოდა მოსკოვში რაიონის ექსპონატები სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. მთელმა პიონერულმა ორგანიზაციამ გააცილა მაიას საზამთრო. გასრიალდა გოგიას ორთვალა აეროდრომისაკენ, მაია კი შებრუნდა ბაღჩაში, გადათვალა თავისი ბუმბერაზი, ჯერ კიდევ საზრდელი საზამთროები... მერე მთელ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს: თვალწინ ედგა მოსკოვი, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონები და მოსკოველი პიონერები, რომლებიც კმაყოფილებით შეჰყურებდნენ გამოფენაზე მაიას მოყვანილ გოლიათს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ი. ჯუვიმი
პოლონელი პოეტი

ნახატები ჯ. მახარაძისა

ორთქლმავალი

სადგურზე დგას ორთქლმავალი,
მაძღარია, სუნთქავს ხარბად.
ჭორფლიანი,
ოფლიანი
ალბათ მაზუთს დაეწაფა!

დგას, ქსუტუნებს ღიპიანი,
ოხრავს,
ქშინავს,
სუნთქავს ძმიმედ,
შავ სხეულზე ორთქლის ცვარი
ალაგ-ალაგ დასციმციმებს.

ღიპით ქშინავს ვეებერთელა,
ეტყობა, რომ ძალზე სცხელა.

ბუჰ — რა მცხელა!
უჰ — რა მცხელა!
პუჰ — რა მცხელა!
უჰ — რა მცხელა!

არაქათი არ აქვს, ქშინავს,
შეეპარა ხმაში ხრინწი!
— ეს რა მიქნა ქვანახშირმა,
მისი ცეცხლის ალით ვიწვი!

ღიპს უსვებენ ქვანახშირით,
ვერ აძღებენ ღორმუცელას.
ისმის მისი სუნთქვა ხშირი:
ბუჰ — რა მცხელა
უჰ — რა მცხელა!

მრავალ გზაზე ნაგორები,
სავსე მრავალგვარი ტვირთით,
გამოაბეს ვაგონები —
გლეხის სახლზე უფრო დიდი!

ფოლადის და მარტო რკინის,
(არ სჭირდება გამაგრება).
ისე არის გატენილი, —
ნემსიც კი არ ჩავარდება!

ერთ ვაგონში ცხენებია,
მეორეში — ძროხებია,
ყელი მოუღერებიათ,
გული მოუოხებიათ!

მესამეში ექვსი ძია
და სუყველა მსუქანია,
ყველას როგორ შიებიათ,
ლორს სჭამენ და უხარიათ!

მეოთხედან — დანანებით
შეგვცქერიან ბანანები!..
მეხუთეში — მგლოვიარე
მოჩანს შვიდი როიალი!

მეექვსედან — შემზარავი,
იმზირება ზარბაზანი!
მეშვიდეში — სკამებია,
მაგიდები, კარადები...
მერვეში კი არევიათ
ჩემოდნები კალათები...

მეცხრეში კი დათუნია.
რაღაც საქმით გართულია.
იქვე ხუთი ჟირაფია
კისრით ცისკენ ისწრაფიან

მეათეში — ღორებია,
ღორმუცელა ღორებია,
კასრი გადუგორებიათ,
სალაფავი ჰგონებიათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჰ, რამდენი ვაგონია,
ვთვალე,
ვთვალე,
ვერ დავთვალე,
ან რით არის დატვირთული,
ვერ გავიგე, გენაცვალე!
და რომ უცბათ ჩვენთან გაჩნ-
დეს
ახლა ასი გოლიათი,—
ას მათლაფა ბოზბაშს ვაკმევთ,
დავუმშვენებთ სუფრას თარეთით.
ქოთნით მივცემთ ლობიოსაც,
ძალით ვაკმევთ შოთის პურებს,
წინ დავუდგამთ ლამაზ სურებს
და გულს ღვინით გავუხურებთ...

დაპურების შემდეგ ყველა—
რომ ეძგეროს ამ ვაგონებს,
ერთი კაცის ნაბიჯზედაც
ვერავინ ვერ გაგორებს.
რაგინდ ძლიერ მხარი გაჰკრან,
მთელის ძალით, რაგინდ მძაფ-
რად,
მათი ღონის მჯერა, მაგრამ
ადგილიდან ვერვინ დასძრავს.
ისე მძიმე ტვირთი არი,
რომ ვერ დასძრავს ძალა მათი,
უსათუოდ გაწბილდება
ჩვენი ასი გოლიათი!



. . . . . .

უცბათ, ერთი დაისტვინა
და ავარდა ცაში კვამლი,
ტანზე ოფლი დაეღინა
და დაიძრა ორთქლმავალი
დაიქშინა,
აქსუტუნდა,
ჯერ კუსავით იწყო ცოცვა.
უფრო მძაფრად აგუგუნდა
და ნაბიჯიც გააცოცხლა!
წინ წასწია ვაგონები
და ბორბლებიც დატრიალდნენ:
— „ნურაფრისა გეფიქრებათ,
გზა ვერ დაგვღლის სატიალე!“

ორთქლმავალმა სვლას უმატა,
გაიღვარა, გაიოფლა:
— კარგი მადა!
— კარგი მადა!
— კარგად ყოფნა!
— კარგად ყოფნა!
— სად იჩქარის, სად იჩქარის?
— უნდა ნახოს ქალაქები!
მიჰქრის, როგორც ქარიშხალი.
ხმაურით და გალაღებით!

ეჩქარება, რა ხანია,
მატარებელს საგზურიანს,
კიდევ ბევრი ბაქანია,
კიდევ ბევრი სადგურია!

დროზე მისვლა უნდა ყველგან,
სადგური კი მეორდება,
კიდევ ბევრი ელოდება,
მოხუცი და ცეროდენა!

გაიქროლებს მრავალ გვირაბს,
უკან რჩება ტრამალები.
— რა სწრაფია?... — უკვირს
ყირაფს, —
როგორ მიჰქრის გამალებით!

ახლა უკვე ხიდზე მიჰქრის,
შორი-ახლოს ჭიუხია!
დათოვლილი მთების იქით
ხეობაში მიუხვია.

თითქოს ბურთი იყოს მართლა,
არც ფოლადი და არც რკინა.
დატრიალდა ისე მარდად,
ისე სწრაფად გაირბინა!

თითქოს მართლა იყოს მჩატე—
მუყაოსგან ნაკეთები,
ისე არბის დიდ აღმართებს
ხმაურით და დაფეთებით.

ისე მიჰქრის, თითქოს იყოს
სამი კილო მისი წონა!
— რისი სამი-ოთხი კილო,
აიწონის ათას ტონას!

— მაგრამ, იცი ვინ უბიძგებს?
რისთვის არის ასე მალი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ ძალას რისგან იკრებს
სწრაფზე-სწრაფი ორთქლმავა-
ლი?!

— ორთქლით!
— ორთქლით!
ორთქლი ბრუნავს
გაბერილი მუცლის ღრუში,
მილებიდან დიდებულად
ორთქლი მიდის სწრაფად
დგუშში.

და დგუში კი ამოძრავებს
თან ბიძგს აძლევს შემდეგ
ბორბლებს,



ბორბლები კი მიაქროლებს
მატარებელს — მახარობელს!

ბორბლები კი ტრიალებენ,
არასოდეს იღლებიან,
ლიანდაგზე გრიალებენ,
ნაჩვენებ გზას მიჰყვებიან.

ორთქლმავალის გულს კი გააქვს
განუწყვეტლად ბაგა-ბუგი,
სადარდელი ბორბლებს რა
აქვთ:
— ტაკა-ტუკი!
ტაკა-ტუკი!

ბრიყვი ბიჭი იანეკი

მე ერთ ბიჭუნას ვიცნობდი,
მისხალი ჭკუა არ ჰქონდა.
სულ კისერმოღერებული
უმისამართოდ დაჰქროდა.

ჭიდან საკრით წყალს „იღებდა“
გაშტერებული თვალებით
და მჭედელს ეკედრებოდა
კატის დაჭედვას ნალებით.

კოღოს ნაჯახით დასდევდა
და მკლავი ჰქონდა მაგარი,
დიდ ტყეში შეშა შეჰქონდა,
და სახლში კიდევ—ნაგავი.

ზამთარში ყინულისაგან
სახლს აშენებდა პატარას,

თანაც ამბობდა: „ზაფხულში
აჯობებს ყველა აგარაკს“.

პაპანაქება სიცხეში
მაღლა მზეს სულს უბერავდა,
თევზებთან მიაქროლებდა
ღვინით ავსებულ ხელადას.

ჯაფისგან დაღლილ ცხენებთან
სკამი მიჰქონდა შინიდან,
და წაბლა ძროხას კაზმავდა
მოვერცხლილ უნაგირითა.

თუმნიანს ცვლიდა აბაზში,
ბევრიც აღმოჩნდა „მსურველი“;
მოკლედ რომ მოვჭრათ, ბიჭუნა
იყო ბრიყვი და სულელი.

თარგმანი **რევაზ მარგველანი**

ბორის ჩხეიძე

ნახატი გ. თოთიბაძისა

ხოსიტას კაკალი

კოლმეურნეობის ბრიგადირმა ბიძია დემეტრემ მზის გადახრისას დაიწყო სამზადისი ცხვრის ბინიდან სოფელში წასასვლელად.

გაპოხა ურემი, უღელს ტაბიკები და აპეურები გაუსინჯა. ვალიკოც ეხმარებოდა ბიძას ურმის დატვირთვაში. აწოდებდა ტომრებს, უღელის გორგოლებს და სხვადასხვა ნივთებს, რაც ბინებიდან სოფელში იყო გადასატანი. მერე ჩაფით სამგზავრო წყალიც მოიტანა და სავსე ჭურჭელი კოფოსთან ახლოს ჩადო.

გათენებისას დემეტრემ ურემს კამეჩები შეუბა. დასვა ზედ ძმისწული, გაუდგა გზას სოფლისაკენ. ვალიკოს ეჩქარებოდა შინ დაბრუნება. უკვე სამი კვირა იყო, რაც არ ენახა დედ-მამა, და-ძმები. სკოლაში წასვლის დღეც ახლოვდებოდა!

ბინიდან სოფლამდე დიდი მანძილი იყო გასავლელი. გზა სიცხით გადატრუსულ მინდორზე მიდიოდა. არსად ბუჩქი, ხე, ტყე და წყარო. კამეჩები მარჯვედ მიაგორებდნენ მძიმე ურემს. დემეტრე კოფოზე იჯდა, ხელში სახრე ეჭირა და ურმულს ღიღინებდა. მალე ძალიან დაცხა. მზის მძლავრი სინათლე ვალიკოს თვალს არ ახელინებდა. თვალდახუჭული ეუბნებოდა დემეტრეს მოძახილს. შუადღისას თითქმის ნახევარი გზა ჰქონდათ გავლილი; ვალიკოს მოშივდა და ხურჯინში ხელი ჩაჰყო.

— მოითმინე! — შეეხვეწა დემეტრე, — მალე ხოსიტას კაკალთან მივალთ, იქ ჩრდილში კამეჩებიც გამოვუშვათ, ჩვენც დავნაყრდეთ.

ვალიკომ დაუჯერა ბიძას, მაღლა, ჭალების წვერთან ავიდა. ბარგზე ჩამოჯდა, ხელი მოიჩრდილა და გახედ-გამოხედა მინდორს. მცირე ხნის შემდეგ გზაზე შენიშნა ძალიან დიდი, შავი ბურთის მსგავსი რამ.

— ძია, რა არის'.ის შავი?

— სწორედ ის არის ხოსიტას კაკალი. — მიუგო დემეტრემ.

კამეჩებმა თითქოს დასასვენებელი ადგილის მოახლოება იგრძნესო, ფეხს აუჩქარეს, გააქროლეს ურემი; უკან რჩებოდა გრძელი გზა და მტვრის კორიანტელი. მიიტანეს ტვირთი ხესთან და დადგნენ. დემეტრემ ურემი გზის პირას, განზე დააყენა. პირუტყვები გამოუშვა. წყალი დაალევინა. კაკლის ჩრდილის კიდეში თივა დაუყარა. მერე ხურჯინი გადმოიღო ურმიდან. კაკლის ძირში მიწაზე ქაღალდი გაფინა, ზედ ხურჯინიდან ამოღებული პური, მარილი და მოხარშული ცხვრის ხორცი დაალაგა. შეუდგნენ საღილს.

— ძია, რად ჰქვია ამ ხეს ხოსიტას კაკალი?—იკითხა ვალიკომ.

— იმიტომ რომ ეს ხე ხოსიტამ დარგო.

— ვინ იყო ხოსიტა?

— მეველე და მეცხვარე ყოფილა. აქ ბინა ჰქონია. ამ ადგილას ერთხელ კაკალი დაურგავს. ნორჩ კაკლის ხეს ძეძვებიც მოუღობა, რომ საქონელს არ დაეზიანებინა. გაზრდილა ხე. მას შემდეგ ამ გზით გამვლელ-გამომვლელნი მის ჩრდილში ისვენებენ.

— თქვენ გინახავთ ის კაცი, ძია?

— არა, მე კი არა, პაპაჩემიც არ მოსწრებია, დიდი ხნის ამბავია!

ამ დროს სატვირთო მანქანა გამოჩნდა გზაზე, დადგა კაკლის მახლობლად. მანქანა სოფლიდან ცხვრის ბინისაკენ მიდიოდა. კოლმეურნეები მიჰყავდა. ისინიც ჩამოვიდნენ ძირს, გამოესაუბრნენ დემეტრეს, გაშალეს სუფრა; კოლმეურნეები მადლობით იხსენიებდნენ ხოსიტას, რომელმაც ეს ერთი ძირი ხე დარგო იმ ტრიალ მინდორზე.

ვალიკო დიდხანს ფიქრობდა, რამდენ გამვლელს უნდა მოეხსენებინა ხოსიტა მადლობით. კაკალი ხომ ასზე მეტი წლისა იქნებოდა.

ზაქარია შერაზადიშვილი

ნახატები ბ. ჩირინაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაწაწინა ლექსები

ამირანის ხრამული

შაქროს თავი მოაბეზრა
ამირანის ხმაურმა,
იკვეხნიდა, ანკესით რომ
დაიჭირა ხრამული...
მაგიდაზე დარჩენოდა
ფისომ შეახრამუნა.

ღრუბელი

ჭექა-ქუხილი რომ ვიცი,
არვის ეგონოს მუქარა,
მსურს გავაღვიძო
ღობისძირს
მიძინებული უქნარა.

ფუტკარი

ბაბანაქება ზაფხული
შრომაში გამოვატარე,
ზამთრისთვის სარჩოც
ვიშოვნე,
ბირიც ჩავუტკბე ბატარებს.

ზამთარი

მოვდივარ, მოძისარია,
მომაქვს თოვლი და ციცები,
ბატარებს უფრო ვუეარვარ,
მათი მმობილი ვიქნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ალ. ვეფხვაძისა

გ. ნოვოგრუდსკი

„დიდი მარგალიტი"

მეზღვაურის ნაამბობი

ოკეანის კუნძულებზე ვიმოგზაურე. ეს კუნძულები აქედან ძალიან შორს არის, იქ ასობით პატარ-პატარა მარჯნის კუნძულია და ყველგან პალმები და ბანანები ხარობს. ძლიერ მდიდარი ბუნებაა, მაგრამ ხალხი გაჭირვებით ცხოვრობს. მიწები ამერიკელმა და ინგლისელმა მდიდრებმა დაიტაცეს, ადგილობრივი მოსახლეობა კი შიმშილობს.

ოკეანელი ნკუენგი, რომლის ამბავიც მინდა მოგითხროთ, თავის მიწა-წყლის მცხოვრებთა შორის ყველაზე უკეთ ცხოვრობდა. ქოხი ზღვის პირას ედგა. მისი ავლადიდება იყო ორი ქოქოსის პალმა, პატარა ბოსტანი და ტმასნია, რომელიც განთქმული იყო მთელს კუნძულზე.

ალბათ იკითხავთ, რა არის ეს ტმასნიაო? ტმასნია ქაშაყისოდენა ფხიანი თევზია, საჭმელად იმდენი არაფერია, მაგრამ ერთი შესანიშნავი თვისება აქვს: იგი ზურგის ფარფლით ისე მიეკვრება რაიმეს, რომ ვერ ააცლი; მიეკვრება გემის ფსკერს და მუქთად მგზავრობს ზღვებსა და ოკეანეებში. ბევრი გემრიელი ნამცეციც შეხვდება ხოლმე, როდესაც მზარეულები ხომალდიდან ნარეცხს ღვრიან.

ტმასნია მარტო ხომალდის ფსკერს როდი ეკვრის. ნათელთევზა თუ შემოხვდა, იმასაც მიეტმასნება და მის ხარჯზე საზრდოობს. ოკეანელებმა ეს თევზები თავის ხელქვეითად აქციეს. ნკუენგს, მთელს სანაპიროზე, ყველაზე ღონიერი ტმასნია—ფალავანი ჰყავდა და მას „დიდი მარგალიტი" დაარქვა, ნახევრად ჩაძირულ ნავში ინახავდა, ჭიაყელებით და მატლებით კვებავდა.

სანამ კუნძულზე ვცხოვრობდი, მე და ნკუენგი ხშირად ვთევზაობდით. მეტად საინტერესო იყო ტმასნიათი ნადირობა:

რიჟრაჟზე ვდგებოდით ხოლმე, როდესაც ზღვა დაწყნარებული იყო. აგერ, ნკუენგს ხელში ქოქოსის ბოჭკოსაგან დაგრეხილი წვრილი და მაგარი თოკი უჭირავს; ჩვეულებრივი თევზის დაბმა ხომ ძნელია, — ის სლიპია და ხელში სრიალებს, ტმასნიას კი ზურგზე ფარფლი

კუზივით აქვს. ნკუენგმა მარყუჟი ზურგზე და მუცლის ქვეშ ამოსდო და განასკვა. თოკი თევზს ცურვაში ხელს არ უშლიდა, ხოლო გაშვებით კი არსაით უშვებდა. ნკუენგმა აღვირი ამოსდო „დიდ მარგალიტს,“ ახალი წყლით სავსე კასრში ჩაგდო და ამ კასრიანად ჩავსხედით ნავში.

წყალში ათასნაირი თევზი ცურავდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდით, მსხვილ დავლას—ზღვის კუს ვუცდიდით, რომლებიც სასადილო მაგიდისოდენები არიან. მათი დაჭერა მეტად სახარბიელოა. ამ კუს ხორცი და ჯავშანი ძვირად ფასობს. „დიდი მარგალიტი“ ნამდვილი ოსტატი იყო ასეთი კუების ჭერაში.

უცებ, ვხედავთ, ნავქვეშ თევზს უზარმაზარი კუ მოსდევს. ნკუენგი კასრს მივარდა, ტმასნია ზღვაში გადაუშვა და თოკს საჭაროდ დაუწყო ამოხვევა.

„დიდმა მარგალიტმა“ წყალში ჩაყვინთა, მიუახლოვდა კუს და თვალს მიეფარა; ნკუენგის თოკს რაღაც მძიმედ მოჰყვება, მაშ, „დიდ მარგალიტს“ საქმე უკვე გაუკეთებია: კუს მიეტმასნა და ბუქსირზე მოჰყავს!

მეც მივეშველე ნკუენგს,—უზარმაზარმა კუმ წინააღმდეგობა ვეღარ გაგვიწია. ამაოდ ცდილობდა გაქცევას.

ჩვენ არხეინად მოვწიეთ ნადავლი ნავისაკენ. კუს თათზე მარყუჟი ჩამოვაცვით და ნიჩბები მოვუსვით. ნაპირს რომ მივუახლოვდით, კუ გამოვიყვანეთ და პირაღმა გადავაბრუნეთ. ასეთ მდგომარეობაში მას გაპარვა აღარ შეეძლო. ნკუენგმა ტმასნია კუს მოაშორა და ისევ კასრში ჩაუშვა.

ასე ნადირობდა ჩემი მეგობარი ოკეანელი.

ტმასნია მას არჩენდა და საწყალი ოკეანელისათვის ეს მთელი სარჩო-საბადებელი იყო.

ერთხელ ქოხს თეთრი ადამიანი მიუახლოვდა, ეს მდიდარი, უსაქმური ამერიკელი თევზის ჭერით ირთობდა თავს.

— შენ ეი, შავტუხა! — უთხრა ამერიკელმა ნკუენგს. — ამბობენ, რომ ისეთი ტმასნია გყავს,—თვით ეშმაკის ამოყვანაც კი შეუძლია ჯოჯოხეთიდანო. აბა, ერთი მაჩვენე!

ნკუენგი მორჩილებით წამოდგა და მიიყვანა ნახევრად ჩაძირულ ნავთან, სადაც მისი „დიდი მარგალიტი“ დგაფუნობდა.

ამერიკელმა გულგრილად დახედა თევზს, გადააფურთხა და ჩაილაპარაკა:

— რა სეირი იქნება, როდესაც ბოსტონში [1]) მოვუყვები, თუ როგორ ვიჭერდი კუებს. — მერე ნკუენგს მიუბრუნდა: —რა მოგცე ამ უვარგის თევზში?

— არა ვყიდი, ბატონო.

ოკეანელის პასუხით განრისხებულმა თეთრმა ბატონმა წინ წაიწია და მუჯი შეკუეშა.

— რაო? შე შავტუხა ძაღლო, როგორ მიბედავ უარის თქმას?! მე გეკითხები: რამდენი მოგცე-მეთქი მაგ მყრალთევზში?

— ეს მე ყველაფერს მირჩევნია არ ვყიდი ამას, ბატონო.

— მაშ ეგრე?! — ამერიკელი მივიდა ლაჩვრეტილ ნავთან და ერთი დარტყმით გადმოაბრუნა; დაღვრილი წყალი ფართოდ ვაიშალა ნაპირზე. „დიდი მარგალიტი“ ქვიშაზე შეფართხალდა.

განცვიფრებისაგან გაშტერებული და დაბნეული ნკუენგი მივარდა თევზს, მაგრამ აქაც ამერიკელმა დაასწრო, თავისი მძიმე ჩექმა დაადგა „დიდ მარგალიტს“, და გასრისა... ყველაფერი გათავდა...

ნკუენგი თვალს არ უჯერებდა, დაიხარა და ტმასნიას ამერიკელის ფეხი მოაცილა, ამერიკელს ფეხი აუცურდა, წონასწორობა დაკარგა და ქვიშაზე ზღართანი მოიღო.

... შემდეგ რა მოხდა, ნკუენგს არ ახსოვს. ამერიკელმა სეტყვასავით დაუშინა წიხლი და მუშტები. ნკუენგი გრძნობადაკარგული დაეცა. იმ ღამეს პოლიციელები მოვიდნენ და ნკუენგი ციხეში ჩაგდეს. შემდეგ კი გაასამართლეს: „თეთრი ადამიანის შეურაცხყოფისა და მკვლელობის ცდისათვის“.

როდესაც ოკეანელმა განაცხადა, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ამერიკელის ფეხს შეეხო, ინგლისელმა მოსამართლემ შენიშნა:

— ეს სავსებით საკმარისია. დიდი დამნაშავე ხარ: შენ გაბედე და ხელი აღმართე თეთრ ადამიანზე!

ნკუენგი კატორღაში გაგზავნეს. იგი კუნძულზე აღარ დაბრუნებულა.

თარგმანი **ნინო თოფჩიშვილისა**

[1]) ბოსტონი—ქალაქია ამერიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა
სოჯარ ბიბლიოთეკა

ლეონიდ სულხანიშვილი

ნახატები მ. ჩირინაშვილისა

ფუჭკარო, თაფლი მომეცი

ეს მოთხრობა პრემირებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებულ საუკეთესო სამაგვრო ნაწარმოებთა კონკურსზე 1954 წელს.

აივანზე გამოსულ მზიას ალერსიანად გაულიმა მზემ. მზიამაც შესცინა მშვენიერ მაისის დილას. ყველაფერი უჩვეულო იყო მისთვის: ქალაქის უზარმაზარ შენობებთან შედარებით კრამიტით დახურული პატარა სახლები სათამაშოებს წაგავდნენ, აი, იქ რუ მიიმღეროდა, აქ ვარდი ჰყვაოდა, აგერ იქით ბატის ყვითელი ჭუკები ჭუუმპალაობდნენ გუბეში, შორიახლოს კრუხი თავის ღობუა წიწილებს დასტრიალებდა.

ყველაფერი უნდოდა ენახა მზიას, ყველაფერს ხელით შეხებოდა, განსაკუთრებით კი მწვანე მოლზე ჩამწკრივებული სკები იზიდავდა, რომლებსაც აუარებელი ფუტკარი ეხვეოდა.

— ის ვისი სახლებია, ბები? — თითი გაიშვირა მზიამ სკებისაკენ, — რატომ ეხვევა ამდენი ბუზი?

— ის ბუზები კი არა, ფუტკრებია, — გაეცინა ბებიას, — აი, შენ რომ ძალიან გიყვარს თაფლი, ისინი აგროვებენ იმ სახლებში საზამთროდ.

მზია ჩაფიქრდა. მას მართლაც ძალიან უყვარდა თაფლი.

— მაშ, ის სახლები თაფლით არის სავსე? — იკითხა მზიამ.

— ჰო, შვილო, მაგ სახლებში თაფლია, — უპასუხა ბებიამ და ოთახში შეტრიალდა, — შორს არსად წახვიდე, ახლავე გამოვალ.

მზია ნელა დაეშვა ქვის კიბეებზე და, როგორც კი მიწას ფეხი დაადგა, სკებისაკენ მოკურცხლა. ასეთი სახლი მზიას ჯერ არასოდეს ენახა. არც კარი ჰქონდა, არც ფანჯარა, არც კიბე, არც აივანი. ვერც შიგ ჩასახედი ნახა და ვერც თითის შესაყოფი. მხოლოდ ერთ ადგილას პატარა ხვრეტილი ჰქონდა ამ უცნაურ სახლს და იმასაც ვერ მიუდგებოდი. იყო ერთი ბზუილი და ოროტრიალი. ერთი ფუტკარი შეფრინდებოდა, მეორე გამოფრინდებოდა, მზიას კი არც ერთი ყურადღებას არ აქცევდა. შეწუხდა მზია. აღარ იცოდა, როგორ მისწვდომოდა თაფლს.

ბოლოს მზიამ ასეთ ხერხს მიმართა: თავი უკან გადაიგდო და ფუტკარს მოკრძალებით შეეხვეწა:

— ფუტკარო, ჩემო კარგო ფუტკარო, მაჭამე ცოტა თაფლი.

— ბზზ! ბზზ! — დაიბზუვლა ერთმა ფუტკარმა, — ვერა ხედავთ ამ მკონარას? ჩვენ დილიდან საღამომდე ვშრომობთ,

ზამორისათვის საკვებს ვიმზადებთ და ეს კი მოსულა და თაფლსა გვთხოვს.

მზიას არ ესმოდა ფუტკრის სიტყვები, იდგა და თაფლს მშვიდად ელოდა.

— ადგილიდანაც რომ არ იძვრის?!! მე შენ გასწავლი ჭკუას. ბზზ! — დაემუქრა ისარა პატარა გოგონას და პირდაპირ შუბლში ეტაკა.

— დედაა! — დაიღო პირი მზიამ და ხელები შუბლზე იტაცა.

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა! — იკითხა შეშინებულმა ბებიამ, როდესაც მზიას შუბლზე უშველებელი კოპი დაინახა.

— ფუტკარმა მიკბინა! – შესტირა მზიამ ბებიას.

— არა უშავს, შვილო! წამოდი, ახლავე შაურიანს დაგადებ შუბლზე და ეგ კოპი დღესვე გაქრება.

— რა ბოროტი ყოფილა ფუტკარი! მე თაფლი ვთხოვე, იმან კი მიკბინა!!

— უი, საწყალი, ისარი შენს შუბლში დარჩენია; მოკვდებოდა საცოდავი.

— ამომიღე ისარიი! — ტიროდა მზია.

— არც კი გრცხვენია მაგოდენა ქალს ფუტკარი ისე მოკვდა, რომ ხმაც არ ამოუღია და შენ კი ამ პატარა ნაკბენის გამო ქვეყანა შესძარი. მოიცა, ჩემო პაწიავ, მოიცა, — დაადო შაურიანი ბებიამ მზიას, ზედ ხილაბანდი შემოაკრა, კალთაში ჩაისვა და ალერსი დაუწყო, — აი, მე შენ ახლა რძეს დაგალევინებ, ნამცხვრებს გაჭმევ, ტკბილეულს მოგცემ და მერე ბაღში გაგასეირნებ.

— არ მინდაა, არ მინდა! — სლუკუნებდა მზია.

— თუ გინდა, გიამბობ როგორ ამზადებს ფუტკარი თაფლს, გინდა?

მზიამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია; უსმენდა ბებიას მზია და ტირილისაგან დაოსებულს თვალები ელულებოდა. ბოლოს ჩასთვლიმა. თან ეძინა და თან თითქოს ბებიას ლაპარაკიც ესმოდა. ამ ძილ-ღვიძილში მზიას აი, რა დაესიზმრა...

ს ი ზ მ ა რ ი

— ბზზზ! — ბზუილით მიიკრა მზიასთან ფუტკარი, — ადექი, შე მძინარავ, ჩვენ გათენებიდან დაღამებამდე დაუღალავად ვშრომობთ და ამას კი, ვერ უყურებთ, როგორ ხვრინავს. ბზზ! ადექი მალე! მალე წამოდი, თავდადებული ისარა რომ გამოგვაცალე ხელიდან, როგორ გგონია, გაპატიებთ?!

— თავი დამანებე! — ტირის მზია, — მე იქ არ წამოვალ!

— როგორ თუ არ წამოხვალ! მაშ ისარას მაგიერ ვინ უნდა იმუშაოს! ადე, თორემ გიკბენ.

— მიკბენ და მოკვდებიიი... — სლუკუნებს მზია.

— არ მოვკვდები. განა მეც ისარს შიგ დაგიტოვებ... გიკბენ და შენც ფუტკრად გადაგაქცევ.

ერთგულა თავგამოდებით ებრძვის მზიას; აი, შუბლზე დააჯდა, აი, უკბინა და მზია ხედავს, როგორ თანდათან პატარავდება, იყურება ხელებზე და ხელების მაგიერ ფრთებს გრძნობს; აი, ექვსი ბანჯგვლიანი ფეხი გამოება. აი, უგრძელდება ცხვირი და ბანჯგვლიან ხორთუმად გადაიქცა; ორი ულვაშიც აქვს ახლა მზიას, წელში გაწვრილებული ტანიც. აი, მზია ერთგულასთან ერთად გაღებული ფანჯრიდან გაფრინდა. ერთგულა უალერსებს მზიას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ახლა კარგი ხარ; კარგია ფრენა?

— კარგია.

— აი, ჩვენი სკა. უყურე საწყალ ისარას, როგორ გდია მიწაზე! თავი გასწირა საერთო საქმისათვის.

— რა ეგონა იმ უქნარა გოგონას: თაფლს რომ გვთხოვდა, მივცემდით?! — სულ აღარ ახსოვს მზიას, რომ ის უქნარა გოგონა თვითონ იყო და საშინლად ბრაზობს. — აბა, კიდევ გაბედოს აქ მოსვლა, ვუჩვენებთ სეირს! ხომ ერთგულავ?! საწყალი, საწყალი ისარა!

— მე და ისარა შარშან დავიბადეთ შემოდგომაზე. მთელი ზამთარი სკაში გავატარეთ და გაზაფხულს სიხარულით შევხვდით. შემოდგომაზე დაბადებულ ფუტკრებს უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე გვაქვს, ზაფხულში დაბადებულები კი სულ ექვს-შვიდ კვირას ცოცხლობენ მოდი, შენი ფიჭა გაჩვენო.

ორივე სკაში შეძვრა. მზიას თაფლისა და სანთლის სუნი ეცა. სკაში ბნელოდა, მაგრამ მზია მშვენივრად ხედავდა ყველაფერს.

მის წინ კედელივით აღმართულა სანთლის ფიჭა, მას უამრავი ფუტკარი ეხვევა. ზოგი თაფლით ავსებს უჯრებს, ზოგი ჭუპრებს კვებავს, ზოგი კედლებს ასუფთავებს. ნამდვილი შრომის ზეიმია.

— აი, ამ უჯრაში ის ჭუპრია, რომელსაც ისარა კვებავდა. მოშივნია საწყალს. აბა, მალე გავფრინდეთ და ჩვენს ჭუპრებს „რძე“ მოვუტანოთ.

ისინი სკიდან გამოძვრნენ, ფრთები შეისწორეს და ნექტარის მოსატანად გაეშურნენ.

მიფრინავენ მხარდამხარ მზია და ერთგულა და ხედავენ, როგორ ეპატიჟებიან მათ ყვავილები.

— აი, რა ლამაზი ყვავილია! — ამბობს მზია. — მოდი, ვესტუმროთ.

— არა, ეგ ლენცოფაა, ჩვენ მაგის თაფლი არ გამოგვადგება, — უპასუხებს ერთგულა, — ოჰო! შეხე ერთი, როგორ ცეკვავს ჰაერში ჩვენი ფრთამალი!

— ალბათ შრომა არ უყვარს და ცეკვაში ატარებს დროს, არა ერთგულავ?!

— არა, ჩვენ წესად გვაქვს ერთი რამ: თუ რომელიმე ჩვენგანმა მიაგნო საკვებით მდიდარ ადგილს, ის იქიდან უნდა ცეკვით დაბრუნდეს და სხვა ფუტკრებიც გაიყოლოს, რომ საკვებ..ს ძებნაზე ბევრი დრო არ დაგვეხარჯოს. ფრთამალი მაგ საქმის ოსტატია. აბა, გავყვეთ.

მზიას და ერთგულას ბევრი სხვა ფუტკარი შეუერთდა. ისინი სწრაფად გაეშურნენ იქით, საითაც ფრთამალი მიფრინავდა. მალე მათ წინ უშვებელი ცაცხვი გამოჩნდა. ჰყვაოდა ცაცხვი. ირგვლივ მშვენიერი სურნელება იფრქვეოდა.

— ოო! ცაცხვის თაფლი განთქმულია. რა განძი უპოვია ფრთამალას!

ორივენი ცაცხვის ყვავილზე დასხდნენ და ხორთუმი ნექტარით სავსე სურნელოვან ბუტკოში ჩაყვეს.

— არიქა, თავს უშველე! — შემოესმა მზიას ერთგულას ხმა. — კვირიონი! კვირიონი! ერთ წამში გადაგვსანსლავს.

მზიამ დაინახა ჭრელი ჩიტი, რომელიც მისკენ ელვის სისწრაფით დაეშვა, ჩიტმა გააღო გრძელი ნისკარტი და... მზიამ თვალები დაჭყიტა.

— კვირიონი! კვირიონი! — შეჰყვირა მზიამ.

— ჰოო, კვირიონს გეუბნები, — მიუალერსა ბებიამ, — ძალიან ლამაზი კია, მაგრამ მეტად მავნეა: ფუტკრებს მუსრს ავლებს.

— მშია! — თვალები მოიფშვნიტა მზიამ.

— ახლავე, ჩემო მტრედო! — წამოდგა ბებია და მზია გაშლილ სუფრასთან მიიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი ზ. მეძმარიაშვილისა

მარო ლაიშვილი

თხილაობა

ქეთინოს სოფლის გაღმა მოჩანს მაღალი, შიშველი კლდე, კლდის ძირში დიდი ვაკე და შეფერდილი ადგილები დაფარულია თხილნარით, რომელიც ყოველ ზაფხულს ბევრ ბავშვს იზიდავს.

ერთ დღეს ქეთინომაც შეკრიბა თავისი უბნის გოგო-ბიჭები და გადაწყვიტეს, რომ მეორე დღეს თხილის საკრეფად წასულიყვნენ.

მზის სხივები ჯერ არც კი ჩანდა, რომ ქეთინო თავისი ამხანაგებით მდინარის საცალფეხო ხიდით გაღმა გავიდნენ. ბავშვებმა გზა განაგრძეს ტყის წყაროსაკენ, იქ ისაუზმეს და შეესივნენ თხილნარს.

თხილი უკვე კარგად იყო დამწიფებული. თუ ცოტა ფრთხილად არ მოსწევდით, მწიფე თხილი სულ ძირს, ბუჩქში ჩაეშვებოდა და ტოტზე კი მხოლოდ ჩენჩო შერჩებოდა. ეს თავიდანვე შენიშნეს ბავშვებმა და ახლა ფრთხილობდნენ.

საღამომდე რამდენჯერმე შეისვენეს. ერთმანეთს შეგროვილი თხილი ანახეს, კისრები დაღლოდათ მაღლა ცქერითა და ყბები კი — თხილის ტეხით. ბოლოს დათვალეს, რამდენი ჩურჩხელის თხილი ჰქონდა თითოეულს შეგროვილი! გადაწყვიტეს, დღეს ამას დასჯერებოდნენ და სოფლისაკენ დაეშვნენ; ახლა ფეხდაფეხ გავიდნენ მდინარეში და იცით, რა მოუვიდა ქეთინოს?! მდინარის შუა კალაპოტს რომ უახლოვდებოდა, ფეხი ქვაზე გაუცურდა და ის იყო ხელებგაშლილი წყალში უნდა ჩავარდნილიყო, რომ უკანიდან წამოეშველნენ მერაბი და მარო.

ქეთინომ თავი შეიმაგრა, წყალში აღარ ჩავარდნილა. მაგრამ ამ ტორტმანზე წელზე შემოკრული ზონარი გაუწყდა და მთელი დღის ნაკრეფი თხილი კაბის კალთიდან წყალში ჩაეშვა. ქეთინო შეწუხდა, შეწუხდნენ ამხანაგებიც. ბიჭები წყლიდან თხილის ამოკრეფასაც კი შეეცადნენ, მაგრამ რაღას უშველიდნენ.

სიჩუმე მელანომ დაარღვია.

— მეგობრებო! რა მოხდა? თხილი მხოლოდ ქეთინოს ჩაუცვივდა წყალში, დანარჩენებს ხომ არა? აი, ჩვენი თხილი! ყველამ მოვაკლოთ ჩვენსას იმდენი, რომ ქეთინოს შევუგროვოთ 30 ჩურჩხელის სამყოფი, ამით ჩვენ ბევრი არაფერი დაგვაკლდება, ქეთინოს კი თხილი ისევ ექნება.

ყველა სიამოვნებით დაეთანხმა მელანოს.

ქეთინო უარზე იდგა, როცა ამხანაგები თხილს სთავაზობდნენ. მაგრამ აბა, რა გაუვიდოდა თავდადებულ მეგობრებთან! ამხანაგები ადგილიდან არ დაიძრნენ, სანამ ქეთინოს კალთა არ აუვსეს და მხიარულად გაუდგნენ შარაგზას სახლებისაკენ.

5.21/24.
13/105
ГОСУДАРСТВ. ВЗА
1 12 ...

ძმების თავგადასავალი

ნახატები ან. ქანდელაკისა

1.
ძლიერ გვანდნენ
ერთმანეთს
ცმაკუნა და ბაკია,
ერთი იყო ზარმაცი
და მეორე პრანჭია.

2. ერთხელ დილით ზარმაცი
გაადვიძა რადიომ,
და ძმას უთხრა: — ჩემს ნაცვლად
სკოლაში შენ წადიო.

3. დაეთანხმა ბაკია,
თავი მაღლა ასწია,
გადაიცვა ძმის ფორმა
და სკოლისკენ გასწია.



4. მაგრამ როცა დაფასთან
ხან „დასცხა“, ხან „სციოდა“,
პასუხს ვერ ახერხებდა
და ცრემლები სცვიოდა.

5. შინ მისვლისას ძმას უთხრა:
— ზარმაცი ხარ ნამდვილი,
მასწავლებლის შეცდენა
არ ყოფილა ადვილი!

ყდის მხატვრობა გეუთენის რ. ცუცქირიძეს | გამოცემის ოცდამეშვიდე წელი | ფასი 2 მან.

რედაქტორი ითსეგ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ე. ბურგანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. ხიხარულიძე, ნ. ფანფკოშვილი შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 9, Сентябрь, 1954 г. Тбилиси, Ленина 14.
საბეჭდავი. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 8-87-88 გამომც. შეკვ. № 263 სტამბის შეკვ. № 1121|2078
ტირაჟი 15.000 უე 06165 ტექსტი ანყობილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში.